აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

განკარგულება № 6

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისა და მრჩევლობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შესახებ

02 ოქტომბერი, 2018 წელი — დაბა ჩაქვი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35^5 მუხლის მე-4 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 48-ე მუხლის „თ^2“ ქვეპუნქტისა და 116^1 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. შეიქმნას საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ერმილე მესხია** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) **სოსო სტურუა** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის მუზეუმის დირექტორის მოადგილე;

გ) **ადამ მახარაძე** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი;

დ) **ასლან ლორთქიფანიძე** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის დამოუკიდებელ ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარე;

ე) **ალექსანდრე ლორთქიფანიძე** - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - დემოკრატიის ინსტიტუტის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატთა სია.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდეს საჯაროდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში და ოფიციალურ ვებგვერდზე.

დავით გაბაიძე